



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 20 ოქტომბერი, 2017წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. რაისა ლიპარტიელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
2. ვიტალი გიორგაძე - საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი, მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
3. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
6. ანა ციცაგი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
7. გიორგი ჭანტურიძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

სკაიპით ერთვებოდა: ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს მთავრობისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ერთობლივი მაღალი დონის კონფერენცია;
- „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტი;
- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის

მონიტორინგის შედეგები; - გიორგი ჭანტურიძე, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

- სს „საქართველოს რკინიგზაში“ პროფკავშირის დევნისა და დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის რიგით მე-9 ყოველწლიური შეხვედრა;
- მიმდინარე პროექტის „საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდა“ პრეზენტაცია - ლაშა ტულუში, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი
- სხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა საქართველოს მთავრობისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ერთობლივი მაღალი დონის კონფერენცია. ჯგუფის კოორდინატორმა, ყურადღება გაამახვილა საკითხებზე, რომლებიც განიხილება კონფერენციაზე. მეხუთე სამუშაო ჯგუფის პანელი შეეხება **დასაქმების, შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის საკითხებს**. როგორც ქალბატონმა რაისამ აღნიშნა, შრომითი ურთიერთობების დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისი შრომის კანონმდებლობისა და პოლიტიკის შექმნა და შრომის უფლებების დაცვის მექანიზმები იქნება ის ძირითადი თემა, რაზეც თავად ისაუბრეს კონფერენციაზე.

მეხუთე ჯგუფის პანელი ასევე მოიცავს დისკუსიას სოციალური პოლიტიკის საკითხზე. მათ შორის ორგანიზაცია: „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ წარადგენს მოხსენებას თავისუფალ შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფასა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ.

აღნიშნულ პანელზე, ისევე როგორც სრულიად კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლიმენტაციის პროცესში არსებულ მიღწევებსა თუ გამოწვევებზე.

ორგანიზაციის „სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი-თაობათა დიალოგი“-ს წარმომადგენელმა ბატონმა ნუგზარ კობრეიძემ წარადგინა წინადადება მთელი

პანელის მანძილზე აქცენტი ასევე გაკეთდეს რეგიონებში არსებულ გამოწვევებზე და მომხსენებლებმა რეგიონული კონტექსტიც გაითვალისწინონ.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა იმსჯელა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტის შესახებ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს კანონპროექტზე. მათ შორის ჯგუფის აქტიური წევრია პროფესიული კავშირებიც. როგორც პროფესიული კავშირების წარმომადგენელმა, ქალბატონმა რაისამ აღნიშნა, კანონი არ გავრცელდება ყველა ტიპის სამუშაოზე, ამასთანავე კანონში არ არის განსაზღვრული კონკრეტული ცხადი ინდიკატორები, თუ რა პრინციპით ირჩევა აღნიშნული სამუშაოები. კანონს არ აქვს ფინანსური დასაბუთება. გარდა ამისა, კანონს სხვა მნიშვნელოვანი ტექნიკური თუ იურიდიული ხარვეზებიც აქვს.

შეხვედრის შემდეგ ნაწილში, ჯგუფმა იმსჯელა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის რიგით მე-9 ყოველწლიური შეხვედრის საკითხზე. ქალბატონმა რაისამ ჯგუფის წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ მას აქვს შემოთავაზება აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნიდან, რომ კენჭი იყაროს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის პოზიციაზე. მან ჯგუფის წევრებს სთხოვა საკუთარი მოსაზრებების და რჩევების გაზიარება, რათა მიიღოს მაქსიმალურად შეთანხმებული გადაწყვეტილება. ჯგუფმა ერთხმად გამოხატა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია ქართველი წარმომადგენლის კოორდინატორობა მეხუთე სამუშაო ჯგუფში.

ლიბერალური აკადემია თბილისის წარმომადგენელმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა ყურადღება გაამახვილა ფორუმის დეკლარაციის საკითხზე. სადაც საქართველოზე საუბრისას, მნიშვნელოვანი პრობლემური ჩანაწერებია, რაც მოითხოვს დროულ რეაგირებას ქართული მხრიდან. მან ფორუმის მონაწილე ქართულ დელეგაციას მოუწოდა პოზიციების შეჯერებისა და აქტიური ლობირებისკენ.

ყოველწლიურ შეხვედრაზე საუბრისას, ასევე აღინიშნა, რომ წელს საორგანიზაციო საკითხები იყო სრულიად მოუწესრიგებელი.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა მოისმინა სამუშაოს მამიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგის შედეგები. პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობისა და ინსპექტირების ვალდებულება გააჩნია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ პროგრამას აქვს საგულისხმო ხარვეზები. მონაწილეთა ნაწილმა, ვადაზე ადრე შეწყვიტა სწავლა და ამის უმთავრეს მიზეზად

სწავლების დაბალი ხარისხი დაასახელა; გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი მდგომარეობით, კვლავ დაუსაქმებელია და კვლავ ეძებს სამსახურს და სხვა¹

შემდეგ საკითხად ჯგუფმა მოისმინა ლიბერალური აკადემია თბილისის დირექტორის პრეზენტაცია, პროექტის: „საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდა“ მიმდინარეობის შესახებ.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა. შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

¹ დამატებით ინფორმაციისთვის იხ. ბმულ:

<http://www.gtuc.ge/documents/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf>